ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ ამირან ცინცაძეს

პეტიციის წარმდგენი სუბიექტის მომხსენებლების
სახელი, გვარი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი:

1. დავით ანანიძე, ქედა, ხოსროშვილის ქ. №13, 598278562
2. ნინო წითაძე, ქედა, სოფ. [illegible] 577414607
3. მარინა [illegible], ქედა, სოფ. [illegible] 599234129

პ ე ტ ი ც ი ა

მოქალაქეთა გადაადგილების უსაფრთხოების და სატრანსპორტო მოძრაობის რეგულირების უზრუნველყოფის მიზნით დაბა ქედის ცენტრში, ცენტრალურ გზის მონაკვეთზე, სიჩქარის შემზღუდავი ბარიერების მოწყობის საკითხის გადაწყვეტა (დაგეგმვა, მონტაჟი, უფლებამოსილ ორგანოებთან შუამდგომლობა და ა.შ.)

დაბა ქედის ცენტრი, რომელიც ცენტრალური საავტომობილო გზის მიმდებარე ტერიტორიას წარმოადგენს, პრაქტიკულად მუდმივად გადატვირთულია მოძრავი სატრანსპორტო ნაკადით, ტრანსპორტის მოძრაობის სიჩქარე კი გადაჭარბებულია ცენტრის ტერიტორიაზე გავლის დროს, რაც ხშირად ქმნის საავარიო სიტუაციას და ქმნის მოქალაქეთა სიცოცხლისათვის და ჯანმრთელობის დაზიანების დიდ რისკს. აღნიშნულიდან გამომდინარე მოქალაქეთა გადაადგილების უსაფრთხოების და სატრანსპორტო მოძრაობის რეგულირების უზრუნველყოფის მიზნით, აუცილებელი ცენტრალურ გზაზე, დაბა ქედის ცენტრში შემომავალ და გამავალ ადგილებზე მუნიციპალიტეტმა უზრუნველყოს სიჩქარის შემზღუდავი ხელოვნური ბარიერების მოწყობის საკითხის განხილვა და გადაწყვეტა (დაგეგმვა, მონტაჟი, უფლებამოსილ ორგანოებთან შუამდგომლობა და ა.შ.).

აღნიშნული პრობლემის მოგვარების მიზნით ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეები მოვითხოვთ, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 86-ე მუხლის, მე-4 პუნქტის, "გ" ქვეპუნქტის და ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად, განიხილოთ წარმოდგენილი პეტიცია და უმოკლეს დროში უზრუნველყოთ დაბა ქედის ცენტრში, ცენტრალურ გზის მონაკვეთზე, სიჩქარის შემზღუდავი ბარიერების მოწყობის საკითხის განხილვა და გადაწყვეტა (დაგეგმვა, მონტაჟი, უფლებამოსილ ორგანოებთან შუამდგომლობა და ა.შ.).

პეტიციას თან ერთვის დანართები:

1. პეტიციის წარმდგენი სუბიექტის მომხსენებლების პირადობის მოწმობების (პასპორტის) ასლები;
2. პეტიციის მხარდამჭეთა ხელმოწერილი ბლანკები.

პეტიციის წარმდგენი სუბიექტის მომხსენებლის/მომხსენებლების სახელი, გვარი და ხელმოწერა:

1. დავით ანანიძე [signature]
2. ნინო წითაძე ნ. წითაძე
3. მარინა [illegible] მ. [signature]

პეტიციის წარდგენის თარიღი: 21 აგვისტო 2017 წელი

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო
შემოსულია № 161/04
21 " აგვისტო " 2017
ფურცელი 1 ძირითადი 11 დანართი